KA030119118927617

№ 01-22742 **20 / ოქტომბერი / 2017 წ.**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის მინისტრს
ბატონ დავით სერგეენკოს

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
ივანე ბიბილაშვილის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო დავით,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2016 წლის 31 ოქტომბრის N01-231/ო ბრძანებით ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგებიდან გამომდინარე სამინისტროს ცენტრალური აპარატის ბალანსზე ირიცხება შემდგომი ექსპლუატაციისათვის გამოუსადეგარი 1461 ერთეული 37489. 00 (ოცდა ჩვიდმეტი ათას ოთხასოთხმოცდა ცხრა) ლარის საბალანსო (ნარჩენი) ღირებულების ძირითადი აქტივი და 683 ერთეული 58241. 00 (ორმოცდათვრამეტიათას ორას ორმოცდაერთი) ლარის საბალანსო ღირებულების მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები.

“საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ” დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის N82 დადგენილების შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს ზემოაღნიშნული აქტივების ჩამოწერა.

ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ამავე დადგენილების შესაბამისად, ჩამოსაწერ ქონებაზე გამოყენებული იქნას სპეციალისტის (აუდიტორული ან საექსპერტო) შესაბამისი დასკვნა.

გთხოვთ, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს თანხმობას აუდიტორული ან საექსპერტო მომსახურების შესყიდვაზე და აქტივების ჩამოწერასთან დაკავშირებით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადებაზე.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ივანე ბიბილაშვილი